



**რუსეთის პოლიტიკა ერთა თვითგამორკვევის უფლების მიმართ კოსოვოსა და
აფხაზეთის პრეცედენტების მაგალითზე**

გურამ ანანიშვილი

კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სამაგისტრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: g.ananeishvili@gmail.com

აბსტრაქტი

ვინაიდან რუსეთის ფედერაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებულ კონფლიქტებში, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მისი დამოკიდებულების სამართლებრივი საფუძვლები სუვერენიტეტის მსურველ ეთნიკურ ჯგუფებისადმი. ოფიციალური მოსკოვი ერთი მხრივ კატეგორიულად არ აღიარებს კოსოვოს სუვერენიტეტს, ხოლო მეორე მხრივ პირველი სახელმწიფოა, რომელმაც მხარი დაუჭირა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. სტატიის მთავარ საკვლევ თემას წარმოადგენს კრემლის პოლიტიკა ერთა თვითგამორკვევის პრინციპის მიმართ. ტექსტში ერთა თვითგამორკვევის უფლება გაანალიზებულია გაეროს წესდების ფარგლებში. შემთხვევის შესწავლის მეთოდით განხილულია კოსოვოსა და აფხაზეთის კონფლიქტების თავისებურებანი და ამ დაპირისპირებებში მოსკოვის ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციები შედარებულია გაეროს წესდებასთან. რადგან ხსენებული წინააღმდეგობის სამართლებრივი საფუძველი ძალიან მცირეა, კვლევის შედეგები ცხადჰყოფენ მოსკოვის სუბიექტურ დამოკიდებულებას საკითხისადმი და ადასტურებენ რუსეთის მოქმედებების ვიწრო პოლიტიკურ მიზნებს.

საკვანძო სიტყვები: რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკა, ერთა თვითგამორკვევის პრინციპი, რეგიონული კონფლიქტი, ეთნიკური უმცირესობა.

შესავალი

რუსეთის ფედერაცია პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც 2008 წელს, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონი საქართველოსგან დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნო (ოფიციალური მოსკოვის გარდა, მისივე ლობირებით, ხსენებული რეგიონების დამოუკიდებლობას აღიარებს მხოლოდ ვენესუელა, ნიკარაგუა და ნაურუ). 26 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა გამოსცა ბრძანებულება #1260,¹ რომელშიც მითითებული იყო, რომ აფხაზი ერის წინააღმდეგობის შესაბამისად, კრემლი აღიარებდა აფხაზეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტს. მართალია, რეგიონში დაპირისპირების დაწყების მომენტიდან ნათლად იკვეთებოდა რუსეთის მეგობრული ურთიერთობა სოხუმის სეპარატისტული რეჟიმთან, მაგრამ ოფიციალური მოსკოვის ეს აღიარება, უკვე აღნიშნული სუბიექტური დამოკიდებულების მიუხედავად, მაინც შეიცავდა გაურკვევლობის მნიშვნელოვან ელემენტებს. ყველაზე მთავარი კი იყო წინააღმდეგობა საკუთარ შეხედულებებთან, რომელიც კრემლმა, 26 აგვისტომდე რამდენიმე თვით ადრე, დასავლური სამყაროს მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების დროს დააფიქსირა. 23 თებერვალს, მაშინდელმა რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა, დსთ-ის სამიტზე გამოსვლისას ამ შემთხვევას „საშინელი პრეცედენტი“ უწოდა და განაცხადა, რომ ის ქვეყნები, რომლებმაც ცალმხრივად აღიარეს კოსოვოს დამოუკიდებლობა, არ ფიქრობენ შედეგებზე, რომლებიც შესაძლოა ამ ფაქტმა გამოიწვიოს მსოფლიოში. მისი თქმით ეს ჯობის ერთი ბოლოა, მეორე კი ოდესმე მათ თავში მოხვდებათ (lenta.ru, 2008). რა შეიცვალა რამდენიმე თვეში? რა სამართლებრივი საფუძველი

¹ <http://kremlin.ru/acts/bank/27957>

ჰქონდა ოფიციალურ მოსკოვს უარყო კოსოვოს მისწრაფება თავისუფლებისადმი და სამაგიეროდ გამხდარიყო მთავარი ლობისტი აფხაზეთის სუვერენიტეტის ცნობისა? რამდენად იძლევა აღნიშნული კონფლიქტების შინაარსი ამგვარი განსხვავების საშუალებას? 2008 წელს აფხაზეთის აღიარებაზე საუბრისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ქართულ-რუსულ ომს ცხინვალის რეგიონში, რომელიც რამდენიმე დღით უსწრებდა მედვედევის №1260 ბრძანებულებას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სამხედრო დაპირისპირება ცალსახად წარმოადგენდა რუსეთის ფედერაციის უკანონო შეჭრას გაეროს მიერ აღარებულ სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მიუხედავად ცხინვალში დაპირისპირების შინაარსისა და გამომწვევი მიზეზებისა, რამდენად ცვლის ეს ომი სხვა რეგიონში, სხვა დროს მომხდარი სხვა დაპირისპირების სამართლებრივ სინამდვილეს? ასეთი გაურკვევლობის გამო, მოსკოვის პოლიტიკას, ეთნიკური ჯგუფების დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის მიმართ ბევრი ბუნდოვანი მხარე აქვს. ეს ბუნდოვანება კი, ყველაზე უფრო მძაფრად კოსოვოსა და აფხაზეთის პრეცედენტებს შორის მოსკოვისეულ განსხვავებაში იკვეთება.

კვლევის მეთოდოლოგია

რუსეთის ფედერაციის პოლიტიკის განსაზღვრისათვის ერთა თვითგამორკვევის უფლების მიმართ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს მისი ქმედებებისა და პოზიციების ანალიზი სხვადასხვა ეთნიკურ თუ პოლიტიკურ კონფლიქტში და ამ დამოკიდებულებათა თანხვედრის კვლევა გაეროს წესდებასთან მიმართებით. პირველ ეტაპზე განხორციელდა გაეროს წესდებისა და იმ სამეცნიერო დოკუმენტების თვისებრივი ანალიზი, რომელშიც მოცემული და განმარტებული იყო თვითგამორკვევის პრინციპის სამართლებრივი საფუძვლები. ვინაიდან ოფიციალური მოსკოვის მხრიდან ხირად ველებოდა პარალელები პრიპტინა და საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში არსებულ სიტუაციას შორის, რუსეთის

პოზიციათა სამართლიანობისა და თანმიმდევრულობის შესადარებლად შეირჩა კოსოვოსა და აფხაზეთის კონფლიქტები, რომელთა ანალიზი განხორციელდა შემთხვევის შესწავლის მეთოდით, იგი თავის მხრივ მოიცავდა როგორც პროცესის მიდევნების მეთოდს, ისე პრესისა და სამეცნიერო დოკუმენტების თვისებრივ ანალიზს. კვლევის აღნიშნულმა ეტაპმა შესაძლო გახდა ნათლად განსაზღვრულიყო კონფლიქტებში მიმდინარე პროცესების სამართლებრივი მხარე და მათში კრემლის ჩართულობის ხასიათი და ინტენსივობა. დასკვნით ფაზაში მოხდა მიღებული შედეგების შედარება და მათი გაეროს წესდებასთან შესაბამისობის დადგენა.

ლიტერატურის მიმოხილვა

მოცემულ სტატიაში მიმოხილულია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენაზე არსებული ლიტერატურა. მწირია ნაშრომები, რომლებიც ჩემი საკვლევი თემის კუთხით განიხილავენ რუსეთის პოლიტიკას. სამაგიეროდ, მრავალფეროვანია ის სამეცნიერო დოკუმენტები, რომლებიც ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ შექმნილა. ამ მხრივ სტატიაზე მუშაობისას გამოვიყენე ჰანს კელსენის „საერთაშორისო სამართლის პრინციპები“ (Kelsen, 2003), სადაც სიღრმისეულად არის განხილული ის საერთაშორისო ნორმები, რომელთა საბოლოო ფორმირებაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა ერთი მხრივ ისტორიული გამოცდილების, ხოლო მეორე მხრივ ახლად შექმნილი გაეროს წესდების საფუძველზე. სეცესიის შესახებ მსჯელობას გავეცანი ამერიკელი პროფესორის ალან ბიუკენენის წიგნში „სეცესია - გამოყოფის უფლება, ადამიანის უფლება და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა“ (Бьюкенен, 2001), სადაც ავტორი ავითარებს თეორიას სეცესიის ცალმხრივად წარმართვის შესახებ. იგი აღწერს იმ პირობებს და გარემოებებს, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ ამგვარი ქმედება სამართლიანად ჩაითვალოს. ერთა თვითგამორკვევის პრინციპის სეცესიურად

რეალიზებას განიხილავს გიორგი ხუბუაყ თავის წიგნში „ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი“ (ხუბუა, 2000). აღნიშნულ ნაშრომში, ხაზგასმულია სეცესიის როლი სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის და პოლიტიკური სტაბილურობის საკითხში. ავტორი კრიტიკულად აანალიზებს საზოგადოების ამგვარი მისწრაფების სამართლებრივ საფუძვლებს საერთაშორისო გამოცდილებასთან მიმართებით. საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გამოყენების აკრძალვის შესახებ მნიშვნელოვან თეორიულ ასპექტებს გავეცანი ბექა ძამაშვილის „სამხედრო კონფლიქტების სამართალში“ (ძამაშვილი, 2015). აღნიშნულ წიგნში ფართოდ არის განხილული ის ძირითადი პრინციპები, რაც საერთაშორისო სამართალში ძალის გამოყენების პრევენციის კუთხით არსებობს და დიდ ინფორმაციას შეიცავს. კოსოვოს კონფლიქტზე მუშაობისას ძირითადად დავეყრდენი ზურაბ აბაშიძის წიგნებს. „დანგრეული კედლის ჩრდილში“ (აბაშიძე, 2012), რომელშიც საფუძვლიანად არის განხილული მთლიანად იუგოსლავიის კონფლიქტი. ავტორი თანმიმდევრულად აღწერს იმ მოვლენებს, რომლებიც ვითარდებოდა იუგოსლავიაში მთელი ათწლეულის განმავლობაში. ვინაიდან ავტორი კოსოვოს მოვლენების დროს საქართველოს წარმომადგენელი იყო ნატოსა და ევროკავშირში, წიგნში „ნატო და საქართველო: უტოპიიდან რეალობისკენ“ (აბაშიძე, 2000) დანვრილებით არის მოცემული ყველა ის პროცესი და მოქმედება, რომელიც საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობით მიმდინარეობდა ბალკანეთში კონფლიქტის აღსაკვეთად. აფხაზეთის კონფლიქტზე მუშაობისას გამოვიყენე რევამ გაჩეჩილაძის წიგნი „ჩემი მეოცე საუკუნე“ (გაჩეჩილაძე, 2012). ნაშრომში აღწერილი და გაანალიზებულია გასული საუკუნის განმავლობაში საქართველოში მიმდინარე პროცესები მსოფლიო მოვლენების ფონზე. აქ სხვა უამრავ საკითხთან ერთად, მოცემულია თითქმის ყველა ის სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზი, რაც აფხაზეთში ომის მიზეზი გახდა. აფხაზეთის ისტორიის განხილვისას დავეყრდენი მარიამ ლორთქიფანიძის ნაშრომს „აფხაზები და აფხაზეთი“ (ლორთქიფანიძე, 1990), რომელშიც კრიტიკულად არის განხილული

ის ძირითადი ისტორიული ასპექტები, რომლებიც გარკვეული მოსაზრებებით მიიჩნევა აფხაზთა სეცესიონისტური მისწრაფებების საფუძვლად.

ერთა თვითგამორკვევის უფლება

ერის თვითგამორკვევის უფლებაზე, როგორც სამართლებრივ პრინციპზე, ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში საუბრობდნენ, თუმცა განსაკუთრებული მნიშვნელობას მას XX საუკუნემდე არ მიუღია. ეს უფლება დაფიქსირებულია 1945 წელს მიღებულ გაეროს წესდების 1-ლი მუხლის მე-2 პარაგრაფში,² 55-ე მუხლში³ და ასევე რამოდენიმე საერთაშორისო აქტში:

- დეკლარაცია კოლონიური ხალხებისა და ქვეყნებისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, 1960 წ.
- საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ, 1966 წ.
- საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ, 1966 წ.

² „განავითაროს მეგობრული ურთიერთობები ერებს შორის ხალხების თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპის პატივისცემის საფუძველზე, აგრეთვე მიიღოს სხვა შესაბამისი ზომები საერთაშორისო მშვიდობის განსამტკიცებლად.“ *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება. მუხლი 1(პარაგრაფი II).*

³ „ხალხთა თანასწორუფლებიანობის და თვითგამორკვევის პრინციპის პატივისცემაზე დამყარებული ერებს შორის მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობისათვის აუცილებელი სტაბილურობისა და კეთილდღეობის შემქნის მიზნით გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ხელს უწყობს: ა) ცხოვრების დონის ამაღლებას, მოსახლეობის სრულ დატვირთულობას, ეკონომიკური და სოციალური პროგრესისა და განვითარების პირობებს. ბ) საერთაშორისო პრობლემების გადანაცვლებას ეკონომიკურ, სოციალურ და ჯანდაცვის სფეროებში და სხვა მსგავსი პრობლემების გადანაცვლებას. საერთაშორისო თანამშრომლობას კულტურისა და განათლების სფეროში. გ) ადამიანის საყოველთაო პატივისცემასა და მათი ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას ყველასათვის რასის, ენის და რელიგიის განურჩევლად.“ *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება. მუხლი 55.*

- დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, რომლებიც ეხება სახელმწიფოთა მეგობრულ ურთიერთობებს და თანამშრომლობას გაეროს წესდების შესაბამისად, 1970 წ.
- ჰელსინკის კონფერენციის დასკვნითი აქტი ევროპაში უსაფრთხოების და თანამშრომლობის შესახებ, 1975 წ.
- ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია, 1981 წ.
- ვენის დეკლარაცია, 1993 წ.

ხსენებულმა უფლებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა 60-იან წლებში შეიძინა, როცა ის გახდა კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი აფრიკელი და აზიელი ერების მთავარი სამართლებრივი იარაღი. ამ დროს აღნიშნული პროცესები, ძირითადად ე.წ. „მესამე მსოფლიოში მიმდინარეობდა“, მაგრამ საუკუნის ბოლოს თვითგამორკვევის უფლების აქტუალობის ტალღამ ევროპასაც გადაუარა, დაიწყო რა იუგოსლავიისა და სსრკ-ის დაშლის პროცესი. მაშინ, ამ სახელმწიფოების ტერიტორიაზე მცხოვრები, მრავალი ეთნიკური ჯგუფი გამოთქვამდა დამოუკიდებლობის სურვილს და არგუმენტად სწორედ ხსენებული პრინციპი მოჰყავდათ. თუმცა მათ ჰყავდათ ოპონენტების საკმაოდ დიდი ჯგუფი, რომლებიც ამ მისწრაფებას სეპარატისტულ, სახელმწიფოს წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად აღიქვამდნენ და გაეროს წესდების არასწორ ინტერპრეტაციაზე მიუთითებდნენ. საქმე ისაა, რომ აღნიშნულ თვითგამორკვევის უფლებასთან ერთად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში, არსებობს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, ფუძემდებლური ხასიათის მე-2 მუხლი,⁴ რომელიც მოიცავს გაეროს

⁴ „I მუხლში მითითებული მიზნების მისაღწევად ორგანიზაცია და მისი წევრები მოქმედებენ შემდეგი პრინციპების შესაბამისად:

1. ორგანიზაცია დაარსებულია მისი ყველ წევრის სუვერენული თანასწორობის პრინციპით.
2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი კეთილსინდისიერად ასრულებს წინამდებარე წესდებით ნაკისრ ყველა ვალდებულებას, რათა უზრუნველყოს ყველასათვის ერთობლიობაში ორგანიზაციის წევრების შემადგენლობისადმი კუთვნილებიდან გამომდინარე უფლებანი და უპირატესობანი.
3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი თავის საერთაშორისო დავებს აგვარებს მშვიდობიანი საშუალებებით ისე, რომ არ შეუქმნას საფრთხე საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას და სამართლიანობას
4. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი თავის საერთაშორისო ურთიერთობებში თავს იკავებს ძალის, მუქარის ან მისი გამოყენებისგან როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის

დაარსების ერთ-ერთ ძირითად მიზანს და იმეორებს მშვიდობის მშენებლობის იმ იდეას, რომელიც მეოცე საუკუნემდე ბევრად ადრე არსებობდა საერთაშორისო ურთიერთობებში. კერძოდ, ეს მუხლი ცალსახად უჭერს მხარს სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობის საფუძველზე, ერთმანეთის ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას და გამორიცხავს მასში სხვა ქვეყნის ყოველგვარ ჩარევას. სწორედ ამ ორი პრინციპის დაპირისპირება და იმ ხალხის გამორკვევა, თუ ვინ იმსახურებს ამ უფლების გამოყენებას, გახდა მთავარი განსჯისა და სპეკულაციების მიზეზი 90-იანი წლების კონფლიქტებიდან მოყოლებული დღემდე.

გაეროს წესდებაში აღნიშნულ თვითგამორკვევის უფლების პრაქტიკული განხორციელების ორი გზა არსებობს: სახელმწიფოს შემადგენლობაში თვითგამორკვევა და სახელმწიფოსგან გამოყოფა. ე.წ „საშინაო თვითგამორკვევა“ არის შემთხვევა, როცა ეთნიკური ჯგუფი, არ ცდილობს სახელმწიფოდან სრულ ტერიტორიულ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, მაგრამ ითხოვს მისი საზღვრების შემადგენლობაში გააჩნდეს ფართომამტაბიანი ავტონომია. ეს უკანასკნელი აღნიშნულ ჯგუფს მისცემს საშუალებას ცენტრალური ხელისუფლებისგან მინიმალური ჩარევით მართოს საკუთარი რეგიონი. ამგვარი პრივილეგიების მოთხოვნა დაკავშირებულია განსაკუთრებულ შემთხვევასთან, როცა ცენტრალური მმართველობის პირობებში არასაკმარისად ხდება მოცემული უმცირესობის უფლებების დაცვა. თვითგამორკვევის მეორე ფორმა - „საგარეო თვითგამორკვევა“ საერთაშორისო სამართალში სეცესიის სახელით არის ცნობილი. ეს არის ტერმინი, რომელიც აღნიშნავს რომელიმე ეთნიკური ჯგუფის სახელმწიფოსგან გამოყოფას, როგორც ტერიტორიული, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით და ახალი სახელმწიფოს შექმნას. სეცესია როგორც წესი, უკიდურესი სეპარატიზმის ფორმად ითვლება და სახელმწიფოს ერთიანობის და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებად არის მიჩნეული.

ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ისე გაერთიანებული ერების მიზნებისათვის შუფერებელი სხვა ნებისმიერი სახით. *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება. მუხლი 2.*

როგორც გიორგი ხუბუა შენიშნავს, ფედერაციული სახელმწიფოდან გასვლა ხელისუფლების ნების საწინააღმდეგოდ ანუ სეცესიის უფლება აკრძალულია ყველა ფედერაციული სახელმწიფოს კანონმდებლობით. შესაბამისად, სეცესიის ნებისმიერი ცდა განიხილება, როგორც არაკონსტიტუციური აქტი, ხოლო სეპარატისტული მოძრაობა შეფასებულია, როგორც სახელმწიფოსთვის სერიოზული საფრთხის შემცველი და კანონსაწინააღმდეგო შემთხვევა (ხუბუა, 2000). აქედან გამომდინარე, იმისათვის რომ, აღნიშნული ქმედება დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად, კანონიერად იქნეს მიჩნეული, აუცილებელია მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა უმრავლესობის სურვილის საფუძველზე ან არსებული სახელმწიფოს თანხმობა მისი შემადგენლობიდან გამოყოფაზე ან სეცესიის ლეგიტიმურობის განსაკუთრებულად მაღალი დონე, რომელიც იმ შემთხვევაში მიიღწევა, თუ კი მოქალაქეთა უფლებები ირღვევა ეთნიკური ნიშნით, ეთნიკური ჯგუფი სახელმწიფოს მხრიდან განიცდის მწვავე დისკრიმინაციას რელიგიურ, ეთნიკურ ან ენობრივ საფუძველზე და აღნიშნული ეთნოსის სამომავლოდ არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. სხვა ნებისმიერ შემთხვევაში სეცესია განიხილება, როგორც კანონგარეშე, სეპარატისტული და სახელმწიფოს სუვერენიტეტის საწინააღმდეგოდ მიმართული ქმედება (Бьюкенен, 2001).

კონფლიქტები აფხაზეთსა და კოსოვოში: მსგავსებები და განსხვავებები

დღეს თანამედროვე დასავლელი პოლიტიკოსები სულ უფრო ხშირად ერიდებიან კონფლიქტის ფესვების ისტორიულ წარსულში ძიებას. მაგრამ დაპირისპირებათა სიღმისეული ანალიზი, მათი ისტორიულ კონტექსტში განხილვის გარეშე, მაინც რთულად მისაღწევია. აფხაზეთში ყოველთვის ცხოვრობდნენ ქართველური ტომები. X საუკუნეში სწორედ აფხაზთა მეფის ხელდასხმით მოხდა ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის ტახტზე ასვლა და მას შემდეგ საქართველო ერთიანად მხოლოდ მაშინ იწოდებოდა, როდესაც აფხაზეთიც მის

შემადგენლობაში იყო. 1918 წელს, აფხაზეთთან ერთად მოიპოვა საქართველომ დამოუკიდებლობა და აღიარებულ იქნა ერთა ლიგის მიერ. ამ კუთხესთან ერთად დაიპყრო იგი წითელმა არმიამ, 1991 წელს მასთან ერთადვე აღიდგინა დამოუკიდებლობა და გაეროს მიერ იქნა აღიარებული ამ საზღვრებში. აფხაზური მხარის მთავარ არგუმენტს წარმოადგენს 1921 წელს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში აფხაზეთისთვის მინიჭებული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსი, რომელიც 1931 წელს საქართველოში შემავალი ავტონომიის სტატუსით შეიცვალა.⁵ ამ საკითხის გარშემო აღსანიშნავია რამოდენიმე გარემოება: სსრკ-ს შემადგენლობაში არსებული ამ რესპუბლიკის ათწლიანი ისტორია არცერთ ოფიციალურ დოკუმენტს არ ითვლის, სადაც მათი აღნიშნული სტატუსია ნახსენები. 1924 წლის საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში იგი ავტონომიად იხსენიება, ხოლო 1922 წლის საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში და 1926 წლის აფხაზეთის კონსტიტუციაში, როგორც საქართველოს შემადგენლობაში „განსაკუთრებული სამოკავშირეო ხელშეკრულების“ საფუძველზე შემავალი პოლიტიკური ერთეული. აღნიშნული ფაქტები ადასტურებს იმას, რომ 1921 წელს აფხაზეთისადმი მინიჭებული სტატუსი პარაქტიკაში არ განხორციელებულა (ლორთქიფანიძე, 1990). ამასთან ერთად, სსრკ-ში არსებული ადამიანის უფლებათა დარღვევის ფართო პრაქტიკა დიდ ეჭვს აჩენს ლენინის მთავრობის მიერ მიღებული აღნიშნული გადაწყვეტილების სამართლიანობის მიმართ. სახელმწიფოში, სადაც სხვადასხვა ნიშნით, ინტენსიურად ხდებოდა ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა სხვა დარღვევებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, შეუძლებელია სწორად წარმართულიყო თვითგამორკვევის, ან ადამიანის სხვა ნებისმიერი უფლების რეალიზებასთან დაკავშირებული პროცესი. მეტიც, საბჭოთა სპეცსამსახურების მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით „აფხაზეთის რესპუბლიკა“ შეგვიძლია მივიჩნიოთ ისეთ პროექტად, რომელიც ახლად დაპყრობილი საქართველოს დამოუკიდებლობისადმი შესაძლო მკვეთრი მიდრეკილების პრევენციას მოახდენდა. როგორც ჩანს ეს რისკი 1931 წელს გარკვეულწილად გამოირიცხა.

⁵ <http://www.ghn.ge/print.php?print=91746>

აფხაზებისა და ქართველების სამოცნლიანი თანაცხოვრება სოციალისტურ რესპუბლიკაში ძირითადად მშვიდ ვითარებში მიმდინარეობდა. სიტუაცია შეიცვალა 1989 წელს. აფხაზეთის უმაღლეს სათათბიროს უმრავლესობაში აღმოჩენილმა ადგილობრივმა ნაციონალისტებმა „ლიხნის დეკლარაციით“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისთვის, 1921-31 წლების მსგავსად, ცალკე საბჭოთა რესპუბლიკის სტატუსის მინიჭება მოითხოვეს, რასაც მოჰყვა თბილისსა და სოხუმს შორის ე.წ „კანონების ომი“, შემდგომ კი, 1992 წელს, გაურკვეველ ვითარებაში დაწყებული შეიარაღებული დაპირისპირება. რაც შეეხება კოსოვოს, სერბებს ამ მხარესთან განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ. დაახლოებით VII საუკუნიდან ამ ტერიტორიაზე დაიწყო სერბული სამეფოს ფორმირება და ყველაზე დრამატული მარცხიც მათ ისტორიაში სწორედ აქ, კოსოვოს ველზე განიცადეს 1389 წელს, ოტომანთა არმიის წინააღმდეგ. ამის შემდეგ სერბეთი დაახლოებით ხუთი საუკუნე იყო მუსლიმანური იმპერიის ერთ-ერთი ვილაიეთი. სერბებისთვის აღნიშნული ბრძოლის გამო კოსოვო გახდა უსამართლოდ ჩაგრული სერბეთის სიმბოლო. ამ რეგიონში საინტერესოდ განვითარდა მოვლენები XX საუკუნის დასაწყისში. 1918 წელს სერბეთმა და ლონდონში არსებულმა „სამხრეთ სლავურმა კომიტეტმა“, რომელშიც შედიოდნენ ავსტრია-უნგრეთის მიერ დაპყრობილი მონტენეგრო, სლოვენია და ხორვატია, დადეს შეთანხმება, ერთიანი სამეფოს ჩამოყალიბების შესახებ, რომელსაც „სერბთა, ხორვატთა და სლოვენთა სამეფო“ ეწოდა. მოგვიანებით, 1929 წელს, მისი სახელწოდება შეიცვალა „იუგოსლავიის სამეფოთი“. იმავე 1918 წელს მათ მიერ ანექსირებული იქნა ბოსნია და ჰერცეგოვინაც და შედეგად ჩამოყალიბდა მონარქიული სახელმწიფო, რომელში შემავალ განსხვავებული სარწმუნოებისა და ეთნოსის ერებს თითქმის არ ჰქონდათ გამოცდილება ერთი მმართველობის ქვეშ თანაცხოვრებისა (Banac, 1988). XX საუკუნის დამდეგს, მაშინ როცა, თითქმის ევროპის ყველა სახელმწიფოში მონარქიული მმართველობა ან იცვლებოდა ან პირობით ფორმას იღებდა, ბალკანეთში შექმნილი ეს ხელოვნური და მონარქიული ერთობა აღმოჩნდა

დამარხული ნაღმი, რომელიც 70 წლის შემდეგ აფეთქდა და გამოიწვია იმ დრამატულ მოვლენათა კასკადი, რომელსაც იუგოსლავიის ომის სახელით ვიცნობთ. თუმცა იუგოსლავია ბოლომდე სამეფოდ არ დარჩენილა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ის „სოციალისტურ ფედერალისტური რესპუბლიკა“ გახდა და 1980 წლამდე მას იზოტ ბროზ ტიტო მართავდა, რომელთანაც არის დაკავშირებული ის ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმები, რომლებიც სრულად გამოარჩევდნენ იუგოსლავიას სხვა სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისგან. ამ ბალკანური პროცესების ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენდა კოსოვოს კონფლიქტიც, სადაც XIV საუკუნის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა და სერბეთის ისტორიულ მხარეში, სარწმუნოებით და ეროვნებით განსხვავებული ხალხი, ალბანელები, მოსახლეობის უმრავლესობა აღმოჩნდნენ. სწორედ მათი სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ, ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად, გახდა საფუძველი კოსოვოში მიმდინარე მოვლენებისა.

რაც შეეხება უშუალოდ დაპირისპირებებს აფხაზეთსა და კოსოვოში, ორივე მათგანი 90-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დაშლის შემდეგ გამწვავდა. 2008 წლის შემდეგ ხშირად ხდება ამ ორ კონფლიქტს შორის პარალელების გავლება, თუმცა კრემლი მტკიცედ მიუთითებს მათ სხვადასხვაობას (ერთ-ერთი მათგანის სუვერენიტეტის აღიარებით, ხოლო მეორის - არაღიარებით), გარკვეულ საკითხებში, მაინც არსებობს მნიშვნელოვანი მსგავსებები. ვინაიდან დიდი სიფრთხილედ და სიზუსტეა საჭირო პოლიტიკაში პარალელებით აპელირებისთვის, შევეცდები ყველაზე ნათელი მაგალითებით შემოვიფარგლო. ერთ-ერთი მთავარი საერთო მიზეზი რაც ამ და ასევე თითქმის ყველა პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში წარმოშობილ კონფლიქტს აერთიანებს, ერთგვარი იმპერიული მემკვიდრეობაა. დაპირისპირების კერები მრავალი წლის განმავლობაში არსებობდა ამ რეგიონებში, არ ხდებოდა ამ პრობლემების განხილვა ან გადაჭრის გზების ძიება. ისინი მარტივად შთაინთქმებოდა იმ ნორმატიულ კონსენსუსში, რომელსაც კომუნისტურ ქვეყნებში აღწევდნენ არა სოლიდარობის და საზოგადო ჩართულობის, არამედ ძალაზსა და

შიშვე დამყარებული ცენტრალიზებული მმართველობით. ამგვარი კონსენსუსი კი „შემშინებელთან“ ერთად დასუსტდა და გაქრა. ასევე, ორივე შემთხვევაში, სეპარატიზმის ნაქმრებასა და მხარდაჭერაში დიდი როლი ითამაშა გარე ძალამ ერთი მხრივ მოსკოვმა, ხოლო მეორე მხრივ ტირანიამ (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კრემლის მოქმედებებთან შედარებით აფხაზეთში, ალბანეთის გავლენა კოსოვოს მოვლენებზე მეტად მცირე იყო). ეს პოლიტიკური თანადგომის გარდა სამხედრო და ცოცხალი ძალით დახმარებაში გამოიხატა. მაგ: შეტაკების დაწყებისთანავე გუდაუთაში განთავსებული რუსული სამხედრო ნაწილიდან სეპარატისტებს გადაეცათ 1000-მდე ავტომატი, 600-მდე ტყვიამფრქვევი, 6 საბრძოლო ჯავშანმანქანა, ტ-72 ტიპის ტანკი, საარტილერიო დანადგარები და ნაღმმტყორცნები. ასევე რუსეთის დიდ ქალაქებში განთავსდა სპეციალური პუნქტები დაქირავებულ მებრძოლთა მოსაზიდად (საქართველოს საზოგადოებრივი მუნიციპალიტეტი, 2006). რაც შეეხება კოსოვოს, 1997 წელს ალბანეთში მომხდარი ქაოსის შემდეგ სამხედრო საწყობებიდან დაკარგული იარაღი გაურკვეველი გზით აღმოჩნდა „KLA“-ს, კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის ხელში. ეს მებრძოლთა ჯგუფი 1998 წელს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ტერორისტული ორგანიზაციების სიაში შეიყვანა. ამ სიის კორექტირება ვაშინგტონმა მას შემდეგ მოახდინა, რაც ნატომ 1999 წელს იუგოსლავიის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია დაგეგმა (აბაშიძე, 2012). ორივე დაპირისპირების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს განხორციელებული ეთნიკური წმენდა. უამრავი, საკუთარი საცხოვრებელიდან გამოძევებული ადამიანი. სხვადასხვა მონაცემებით აფხაზეთში ომის შედეგად დაიღუპულ ეთნიკურად ქართველთა რიცხვი 10,000-დან 20,000-მდე მერყეობს, 250,000-ზე მეტი კი, სეპარატისტების მიერ, საკუთარი საცხოვრებელიდან იქნა განდევნილი. მეორე მხრივ, გაეროს ინფორმაციის შესაბამისად, 1999 წელს კოსოვოდან ლტოლვილი ალბანელების რიცხვმა 850,000 გადააჭარბა. ისინი თითქმის სრულად დაუბრუნდნენ საკუთარ სახლებს ნატოს ეგიდით მოქმედი კოსოვოს სამშვიდობო ძალების (KFOR) კოსოვოში განთავსების

შემდეგ. სამაგიეროდ, კოსოვო დატოვა დიდი რაოდენობით სერბმა. 1980-იანი წლებიდან ეტაპობრივად ხდებოდა სერბების მიგრაცია კოსოვოდან ქვეყნის დანარჩენ რეგიონებში, თუმცა ამგვარი მაშტაბური ხასიათი მანამდე არ მიუღია.

კოსოვოსა და აფხაზეთის პრეცედენტებს შორის, ანალოგიების გარდა, არსებობს სიღრმისეული განსხვავებებიც, რომლებიც თავისი მნიშვნელობებით, ფარავენ მსგავსებებს. ამავე შეხედულებას იზიარებს რუსეთის ფედერაციის ოფიციალური პოზიციაც, რომელიც გამოიხატება აფხაზეთის აღიარებითა და კოსოვოს არაღიარებით, თუმცა კონფლიქტებში მიმდინარე პროცესები და ამ ეთნიკური ჯგუფების თვითგამორკვევის სურვილის სამართლებრივი საფუძვლები, ნაკლებად გვიჩვენებს ასეთი ფორმით განსხვავების ობიექტურ ხასიათს. კერძოდ, დემოკრატიული პრინციპის შესაბამისად, სეცესიის სამართლიანად აღიარების ერთ-ერთ მთავარ პირობას, როგორც უკვე ვთქვით, ჯგუფების პოლიტიკური რეპრეზენტაციის არარსებობა წარმოადგენს. თუ განვიხილავთ აფხაზეთის მაგალითს, ვნახავთ, რომ 1989 წელს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს 65-კაციან შემადგენლობაში აფხაზები, რომლებიც საერთო მოსახლეობის 17%-ს შეადგენდნენ, 28 მანდატით იყვნენ წარმოდგენილნი. მაშინ როცა ეთნიკურად ქართველ 47%-ს მხოლოდ 26 ადგილი ჰქონდა, დანარჩენი ეროვნებების წარმომადგენლებს კი - 11. შედეგად 17%-იანი თემი ფლობდა უმრავლესობას წარმომადგენლობით ორგანოში და შეუძლებელია იმაზე საუბარი, რომ ამ ჯგუფის პოლიტიკური რეპრეზენტაციის პრინციპი არ იყო დაცული. ამის საპირისპიროდ, კოსოვოში დამოუკიდებლობის იდეის გაღვივებასთან ერთად, მილოშევიჩმა გააუქმა ამ რეგიონის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანო და იქ სერბეთის მმართველობა შემოიღო. საჯარო სამსახურებიდან დაითხოვა 80,000 ალბანელი და პროვინციაში სერბეთის პოლიციისა და შინაგანი ჯარის ნაწილები ჩააყენა. მეორე განსხვავებას თვითგამორკვევის მოსურნე ჯგუფების რაოდენობრივი მოცულობა წარმოადგენს. უფრო ზუსტად: ნებისმიერი ეთნოსის მოთხოვნა თვითგამორკვევაზე, სამართლიანად შესაძლოა მხოლოდ მაშინ ჩაითვალოს, როცა ეს ჯგუფი მოცემულ

ტერიტორიაზე უმრავლესობას წარმოადგენს. მისი უმცირესობის შემთხვევაში ასეთი მოთხოვნა აღიქმება, როგორც გაეროს წესდებაში მითითებული „ხალხთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის“ დარღვევა (იხ. მუხლი 1), ვინაიდან არ ხდება იმ მოსახლეობის აზრის გათვალისწინება, რომელიც რეგიონში უმრავლესობას წარმოადგენს. ამგვარად, აფხაზთა 17%-იანი მოსახლეობის თვითგამორკვევის სურვილს სამართლებრივი საფუძველი მხოლოდ „საშინაო თვითგამორკვევაზე“ ანუ სახელმწიფოს ტერიტორიულ ფარგლებში იმგვარი მექანიზმის მოთხოვნაზე შეიძლება დაჰყონოდა, რომელიც ეთნოსს დაიცავდა მათი უფლებებისა და თვითმყოფადობის დარღვევისგან. რაც შეეხება კოსოვოს, აქ მოსახლეობის 70%-ზე მეტს კოსოვოელი ალბანელი წარმოადგენდა და ამ თვალსაზრისით შესაძლოა ლეგიტიმურად მივიჩნიოთ მათი პრეტენზია „საგარეო თვითგამორკვევაზე“. ამ კონფლიქტებს ისიც განასხვავებთ, რომ აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობა 250,000-ზე მეტი ქართველი დღესაც დევნილობაშია. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი რეფერენდუმის ჩატარება აფხაზეთის რეგიონში აზრს მოკლებულია. გაერო ყოველწლიურად, რეზოლუციის სახით, ადასტურებს დევნილთა საკუთარ სახლებში დაბრუნების აუცილებლობას, თუმცა უშედეგოდ. კოსოვოს მოსახლეობიდან ომის შედეგად გადასახლებული ალბანელები კი თითქმის სრულად დაბრუნდნენ საკუთარ სახლებში კოსოვოს სამშვიდობო ძალების (KFOR) პრეზენსიაში შესვლისთანავე და სწორედ მათმა უმრავლესობამ მიიღო გადაწყვეტილება იუგოსლავიიდან გამოყოფის შესახებ. კიდევ ერთი და ყველაზე მთავარი განსხვავება, ამ ორ პრეცედენტს შორის, სუვერენიტეტის აღიარებამდე განვლილ გზაშია. აფხაზეთისადმი მოსკოვი 1993 წლიდან მოყოლებული, 15 წლის განმავლობაში მიმართავდა არაღიარების პოლიტიკას. იმის მიუხედავად, რომ რუსეთის ფედერაცია სეპარატისტების მხარეს აქტიურად მონაწილეობდა აფხაზეთის კონფლიქტში და შემდგომ წლებშიც განაგრძობდა სხვადასხვა ფორმით სოხუმის მხარდაჭერას, მისი სუვერენიტეტის აღიარების საკითხი დღის წესრიგში არასდროს დაუსვამს. 2008 წელს მათ აზრი შეიცვალეს (ამის სამართლებრივ

წინაპირობას, როგორც პრეზიდენტი მედვედევი მის 26 აგვისტოს მიმართვაში აცხადებდა, საქართველოს ხელისუფლების მოქმედება წარმოადგენდა ცხინვალის რეგიონში ეთნიკურად ოსი მოსახლეობის მიმართ) და აღიარეს აფხაზეთის დამოუკიდებლობა (სამაჩაბლოს ე.წ სამხრეთ ოსეთთან ერთად). ყველა იმ ნაბიჯის გადადგმა, რომელიც სოხუმის სუვერენიტეტის ცნობასთან იყო დაკავშირებული თითქმის ერთ დღეში მოხდა. კოსოვოს შემთხვევაში ყველაფერი უფრო ვრცელი და თანმიმდევრული პროცესის შედეგი იყო. დაპირისპირების დაწყებისთანავე საერთაშორისო საზოგადოება აქტიურად ჩაერთო მის მოგვარებაში. ამ მოვლენებს წინ უსწრებდა სლოვენის, ხორვატიის და ბოსნიის მოვლენები, ასე რომ, მსოფლიო სახელმწიფოთა უმრავლესობას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული თუ რა შედეგების მომტანი შეიძლება ყოფილიყო ამ რეგიონში კიდევ ერთი სამხედრო დაპირისპირება. მოლაპარაკების მრავალმა ეტაპმა უშედეგოდ ჩაიარა. მილოშევიჩის მთავრობას ჰქონდა რადიკალური პოზიცია და არ ეთანხმებოდა დასავლეთის შეთავაზებულ ვარიანტს კოსოვოს იუგოსლავიის შემადგენლობაში დარჩენის, მაგრამ თვითმმართველობის გაფართოებულ უფლებებით არსებობის შესახებ. კონფლიქტის მოგვარების ამ მოდელს არც კოსოვოელი ალბანელები უჭერდნენ მხარს და სრულ დამოუკიდებლობას ითხოვდნენ იუგოსლავიისგან. დიპლომატიური ჩიხის ფონზე ბელგრადი განაგრძობდა კოსოვოზე თავდასხმებს, რასაც მრავალი უდანაშაულო ადამიანი ეწირებოდა. ამის გამო, „ნატო“ იძულებული გახდა მისი არსებობის ისტორიაში პირველად განახორციელებინა იერიში სუვერენულ სახელმწიფოზე, იუგოსლავიაზე (ამ ოპერაციის სამართლებრივ საფუძვლებს ქვემოთ უფრო ვრცლად შევხებით). კონფლიქტის დასრულების შემდეგ უშიშროების საბჭოს #1244 რეზოლუციის საფუძველზე კოსოვო დარჩა იუგოსლავიის შემადგენლობაში, გაეროს ეგიდით შეიქმნა დროებითი სამოქალაქო ადმინისტრაცია UNMIK (United National Interim Administration Mission in Kosovo), რომელიც მართავდა ამ რეგიონს კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე (ვინაიდან გაეროს არ უღიარებია კოსოვოს სუვერენიტეტი, მისია, ადგილობრივ

მთავრობასთან კოორდინირებულად, დღესაც აგრძელებს მუშაობას). ამ პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა ალბანელ ლტოლვილთა დაბრუნება კოსოვოში. მნიშვნელოვნად განვითარდა დემოკრატიული ინსტიტუტები. ამ პროცესის დასრულების შემდეგ, 2006 წელს დაიწყო კონსულტაციები კოსოვოს საბოლოო სტატუსის განსაზღვრის შესახებ. 2007 წელს, გაეროს სპეციალურმა წარმომადგენელმა, ფინეთის ყოფილმა პრეზიდენტმა, მარტი აჰტისაარმა გაეროს უშიშროების საბჭოს წარუდგინა მომზადებული წინადადებები. რუსეთმა აღნიშნული რეზოლუცია 4-ჯერ დაბლოკა, რადგან თვლიდა რომ ის ხელყოფდა იუგოსლავიის ტერიტორიულ მთლიანობას. ამ პერიოდში შეიკრიბა სამეულიც ვეროკავშირის, აშშ-ის და რუსეთის ფედერაციის შემადგენლობით, რათა მოეძებნათ ყველასთვის მისაღები გამოსავალი. პრიშტინას და ბელგრადის რადიკალური პოზიციების გამო აღქმული საერთო პლატფორმა სრულიად არ არსებობდა. ამიტომ მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა და მას 2008 წლის 17 თებერვალს, სერბეთისაგან ცალმხრივად, კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მოჰყვა. დღემდე ის აღიარა მსოფლიოს 108 სახელმწიფომ, თუმცა არიან ისეთი ქვეყნები, მაგ: ესპანეთი, საბერძნეთი, სლოვაკეთი, რუმინეთი, რომლებიც ნატოს წევრობის მიუხედავად არ ცნობენ კოსოვოს სუვერენიტეტს. ეს ძირითადად, გამონვეულია იმ ფაქტით, რომ ამ სახელმწიფოებს თავად აქვთ მსგავსი ეთნიკური ნიადაგზე არსებული პრობლემები.

რუსეთის ფედერაციის არგუმენტები და მონინალმდეგეთა კონტრარგუმენტები

კოსოვოს კონფლიქტი თავიდანვე გახდა ნატო-რუსეთის ურთიერთობაში დიდი უთანხმოების საფუძველი. მოსკოვი ყველაზე უფრო აპელირებდა 1999 წლის 24 მარტს გაეროს უშიშროების საბჭოს მანდატის გარეშე დაწყებულ და განხორციელებულ ნატოს სამხედრო ოპერაციაზე იუგოსლავიის წინააღმდეგ, რომელმაც დანარჩენ მსოფლიოშიც არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. მიზეზი მარტივი იყო, ალიანსის ეს ქმედება სრულად ეწინააღმდეგებოდა მანამდე მიღებულ

საერთაშორისო სამართლის ნორმებს, გაეროს წესდებას. ნატოს ქმედების მომხრეები კი ხაზს უსვამენ, რომ მაშინ არსებული რეალობიდან გამომდინარე როგორც გაეროს, ასევე ეუთოს ხელთ არსებული ბერკეტები უძლური აღმოჩნდა კოსოვოში მილოშევიჩის ძალადობის აღსაკვეთად. გაეროს უშიშროების საბჭოზე ამ წინადადების გატანას არ ჰქონდა აზრი, რადგან რუსეთის ფედერაცია და ჩინეთი დიდი ალბათობით დაბლოკავდნენ მას, ამიტომ ნატომ მორალური კანონმდებლობაზე მალლა დააყენა. რუსეთის კიდევ ერთ არგუმენტს 1999 წლის 10 ივნისს მიღებული გაეროს უშიშროების საბჭოს #1244 რეზოლუციაში⁶ განსაზღვრული კოსოვოს სამართლებრივი სტატუსის წარმოადგენს. მისი აზრით, აღნიშნულ დოკუმენტში კოსოვოს განსაზღვრულ სტატუსს ეწინააღმდეგება მის შემდგომი აღიარება. ამ რეზოლუციის მიხედვით პოლიტიკური პროცესის მიზანი იყო „დროებითი ჩარჩო ხელშეკრულება“, რომელიც მოიცავდა კოსოვოში თითმმართველობის მაღალ დონეს, იუგოსლავიის და რეგიონის სხვა ქვეყნების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას, ასევე KLA-ს სრულ დემილიტარიზაციას. რუსეთის ფედერაციის აზრით 2008 წლის აღიარებამ დაარღვია აღნიშნული რეზოლუცია. თუმცა საწინააღმდეგო მოსაზრების მიხედვით, მოცემულ დოკუმენტში მართალია იყო საუბარი კრიზისის პოლიტიკური გზით დარეგულირებაზე, მაგრამ მითითებული იყო ამ დოკუმენტის დროებითი ხასიათი და არაფერი იყო ნათქვამი დარეგულირების შედეგზე. ამ არგუმენტისა და კოსოვოს სუვერენიტეტის მომხრეებს ასევე მაგალითად მოჰყავთ ის სხვადასხვა ფორმის ადამიანის უფლებათა დარღვევა, რომელიც სერბული მართველობის დროს ხდებოდა აღნიშნულ რეგიონში და შემდგომი პოლიტიკური პროცესების დროს მნიშვნელოვნად შემცირდა.

კოსოვოს პრეცედენტისგან განსხვავებით, კრემლს სამართლებრივი არგუმენტები ნაკლებად მყარია აფხაზეთის საკითხთან მიმართებაში. ზემოთ მოყვანილი ფაქტები ცხადყოფს, რომ მოსკოვის აპელირება, ოფიციალური თბილისის მიერ აფხაზეთში

⁶ <https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N99/172/89/PDF/N9917289.pdf?OpenElement>

ადამიანის უფლებათა დარღვევაზე, რომელიც იმავე 26 აგვისტოს მიმართვაში პრეზიდენტმა მედვედევმაც გააჟღერა, საფუძველსმოკლებულია. რადგან კრემლის მიერ მხარდაჭერილ და აღიარებულ სეპარატისტებს რეგიონიდან თავად ჰყავთ ეთნიკური ნიშნით განდევნილი მოსახლეობის უმრავლესობა. ასევე ქართულ სახელმწიფოს არ განუხორციელებია ეთნოწმენდა, არც თვითმმართველობის უფლება შეუზღუდია სხვა ეთნოსის წარმომადგენელთათვის. კიდევ ერთი ფაქტი, რომელზეც რუსული მხარე მიუთითებს, საბრძოლო მოქმედებების დაწყების მიზეზია. 1992 წლის 14 აგვისტოს ზუგდიდი-გალის ადმინისტრაციული საზღვარი გადაკვეთა საქართველოს შინაგანი ჯარების კოლონამ, აფხაზებმა ეს ფაქტი საზღვრის უკანონო გადაკვეთად მიიჩნიეს და სამხედრო ნაწილებს ცეცხლი გაუხსნეს. ამის შემდგომ დაიწყო ფართო მაშტაბიანი შეტაკებები. სწორედ ქართული ჯარების არაკანონიერ მოქმედებას მიიჩნიეს სროლის დაწყების მთავარ მიზეზად რუსული და სეპარატისტული მხარე. სამართლებრივი თვალსაზრისით, ამ არგუმენტს თავშივე აბათილებს ის ფაქტი, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღიარებული იყო გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ (მათ შორის რუსეთის მხრიდანაც), აქედან გამომდინარე ზედმეტია იმაზე საუბარი რომ ქართული სამხედრო ნაწილების გადაადგილება საკუთარ ტერიტორიაზე საერთაშორისო სამართლის ნორმებს რაიმე ფორმით არღვევდა.

დასკვნა

საერთაშორისო სამართალში დღეს უკვე ცალსახად მიუთითებენ სამართლებრივ წინააღმდეგობაზე, რომელიც გაეროს წესდებაში ერთა თვითგამორკვევის პრინციპსა და სახელმწიფოს სუვერენიტეტის ხელშეუხებლობას შორის არსებობს. ეს ძირითადად გამოიხატება იმაში, რომ ხსენებულ დოკუმენტში გასაზღვრულია თვითგამორკვევის უფლების აუცილებლობა, თუმცა თავად თვითგამორკვევის არსი ბოლომდე განმარტებული არ არის. ეს იმ პირობებში, როცა აღნიშნული უფლების ნებისმიერი არასწორი ფორმით გაგება, სერიოზული საფრთხის შემცველია სახელმწიფოს სუვერენიტეტისთვის. საკითხის ამ ფორმით, ღიად, დატოვება ფართო შესაძლებლობას იძლევა მისი ინტერპრეტაციისას. ინტერპრეტაცია კი, როგორც გამოცდილება გვაჩვენებს, ყველაზე მეტად ხელეწიფებათ იმ სახელმწიფოებს, რომელთაც სხვებზე მეტი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა აქვს. მართალია, შემდეგ მუდმივად მიმდინარეობს „იმპროვიზატორთა“ მოქმედებების შეფასება, ხშირად მკაცრი კრიტიკაც, მაგრამ დესტრუქციული პროცესები და მათით გამოწვეული შედეგები, როგორც წესი, საწყის ნიშნულს აღარასდროს უბრუნდება. ამ საკითხებზე მსჯელობისას ყველას ალბათ ბუნებრივად მოსდის აზრი წესდების კორექტირებაზე, თუმცა ალბათ ასევე ცხადია, რომ იმ პირობებში, როცა თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში შეიმჩნევა მრავალპოლუსიანი მსოფლიოს ჩამოყალიბების ტენდენცია, იმ დოკუმენტის ცვილილების ხასიათზე კონსესუსის მიღწევა, რომელსაც ყველას, დიდი თუ პატარა სახელმწიფოს, პოლიტიკური ინტერესი უკავშირდება, თითქმის წარმოუდგენელია.

კოსოვოს მოვლენები და ზოგადად, იუგოსლავიის ომის დროს მიმდინარე პროცესების ანალიზი არ გვაძლევს საშუალებას რომელიმე მხარე ცალსახად მივიჩნიოთ დაზარალებულად ან აგრესორად. გადაჭრით მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ამ პროცესების დამაგვირგვინებელ ეტაპზე ნატოს მიერ სუვერენულ სახელმწიფოზე განხორციელებულმა სამხედრო იერიშმა, რომელიც საერთაშორისო ნორმების გვერდის ავლით განხორციელდა, რუსეთის ფედერაციას

საშუალებას მისცა თავი წარმოეჩინა საერთაშორისო სამართლის ნორმების დამცველად. თუ რამდენად ზრუნავს ოფიციალური მოსკოვი გაეროს წესდების შესრულებაზე, ეს ყველაზე უფრო საქართველოს კონფლიქტებისა და შემდგომ უკრაინის მოვლენების დროს გამოჩნდა. მაგრამ კოსოვოს პროცესებში მისი პოზიცია ნამდვილად დაემთხვა საერთაშორისო სამართლის პრინციპებს. მართალია, აღნიშნული პოზიცია უგულვებელყოფილ იქნა ნატოში შემავალი სახელმწიფოების უმრავლესობი მხრიდან და კრემლის ყველაზე მნიშვნელოვანი ევროპული მოკავშირე, სერბეთი, ამით დაზარალდა, მაგრამ რუსეთი აქედან ბოლომდე წაგებული მაინც არ გამოსულა. ის ფაქტი რომ დასავლური საზოგადოება ერთმნიშვნელოვნად რადიკალური არ იყო ოფიციალურ მოსკოვთან მიმართებაში, მისი ჯერ ჩეჩნეთში, მოგვიანებით კი ცხინვალში საბრძოლო მოქმედებების დროს, გარკვეულწილად კოსოვოს პროცესებში მომხდარ გადაცდომასაც შეიძლება დავეუკავშროთ.

მართალია კოსოვოსა და აფხაზეთის კონფლიქტებს შორის დროის შუალედს 5-6 წელი წარმოადგენდა, მაგრამ მათში მიმდინარე პროცესები სულ სხვა მსოფლიო პოლიტიკური რეალობის ფონზე წარიმართა. 90-იანი წლების დასაწყისში დაშლილი საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთი ფედერაცია სტაბილურობით არ გამოირჩეოდა. ეკონომიკური კრიზისი და შიდა კლანური დაპირისპირებები ძალაუფლების მოსაპოვებლად აჩენდნენ რეალურ საფრთხეს, რომ კრემლის საკუთრებაში არსებული ატომური იარაღის რომელიმე ბანდ-ფორმირების ან ტერორისტების ხელში აღმოჩენილიყო. ცხადია, ეს კატასტროფა იქნებოდა მთელი მსოფლიოსთვის. ამიტომ დასავლური საზოგადოების ძირითადი ყურადღება კრემლის სტაბილურობის შენარჩუნებისკენ იყო მიპყრობილი და ამის გამო ჩრდილში ექცეოდა ყოფილი სსრკ-ის პერიფერიებში მიმდინარე პროცესები და იქ რუსეთის უკანონო მოქმედება. ოფიციალური მოსკოვის საგარეო პოლიტიკა ყოფილ საბჭოთა სივრცეში წარმოადგენდა ყველანაირი ხერხით მცდელობას შეენარჩუნებინა კრემლის საბჭოთა დროინდელი გავლენა (ამგვარი მცდელობა

სამწახაროდ დღესაც გრძელდება). შექმნილი სიტუაციით გამოწვეული დასავლეთის ლმობიერი დამოკიდებულება კი მას შესაძლებლობას აძლევდა უფრო თავისუფლად ემოქმედა. კრემლის მხრიდან სეპარატისტიზმის წახალისებისა და დახმარების, ეთნიკური წმენდის ხელშეწყობის, სახელმწიფო სუვერენიტეტის დარღვევის ფონზე ცხადია შეუძლებელია რუსეთის ქმედება გაეროს წესდებას ან საერთაშორისო სამართლის ნორმებს მივუსადაგოთ. აფხაზეთის კონფლიქტის ხელშეწყობა და შემდგომ მასში სამშვიდობო სტატუსით მონაწილეობა, 90-იან წლებში, კრემლისთვის წარმოადგენდა ერთ-ერთ მთავარ ბერკეტს პროდასავლურად განწყობილი საქართველოს ევროპული მისწრაფებების ხელის შესაშლელად, რათა ეიძულებინა ოფიციალური თბილისი განეწიანებულყო დემოკრატიულ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) და მისი პოლიტიკური დამოკიდებულების დონე ოფიციალური მოსკოვისადმი გაზრდილიყო. სეპარატისტული სოხუმისა და ცხინვალის რეჟიმების სუვერენიტეტის ცნობაც ამ გზის გაგრძელებად შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომელიც მრავლად შეიცავდა არასამართლებრივ, შურისძიების ელემენტებს იმ პროცესების გამო, რომლებიც 2003 წლის შემდგომ მიმდინარეობდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში.

გაეროს წესდებაში არსებული გარკვეული სადავო საკითხების მიუხედავად, აღნიშნული კოლიზია მაინც არ იძლევა ისეთი მასშტაბის სამართლებრივ გადაცდომათა დაშვების საშუალებას, როგორსაც ჩვენ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განხორციელებულ კრემლის ქმედებებში ვხედავთ. განხილულ კონფლიქტებში კრემლის წინააღმდეგობრივ პოზიციებს, რომელიც კოსოვოს შემთხვევაში საერთაშორისო საზოგადოების მიერ სამართლის ნორმათა ნებისმიერი გადაცდომის გაპროტესტებით, ხოლო აფხაზეთის პროცესში მის მიერ ამ ნორმათა სრული უგულებელყოფით ხასიათდება (რაც შემდეგ მათი აღიარება/არაღიარების საკითხში გამოიხატა), მხოლოდ ერთი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. ყველაფერი მიუთითებს იმას, რომ რუსეთის ფედერაციისთვის საერთაშორისო სამართლის ნორმები ან რომელიმე სახელმწიფოს სუვერენიტეტი

და ტერიტორიული მთლიანობა იმდენად არის მისაღები, რამდენადაც ისინი ემსახურებიან კრემლის ვიწრო პოლიტიკურ მისწრაფებებს. საერთაშორისო სამართალში არსებული ნებისმიერი ბუნდოვანება კი, მას და სხვა მის მსგავსად განწყობილ სახელმწიფოებს, მხოლოდ ეხმარება საკუთარი ინტერესების გატარებაში.

ბიბლიოგრაფია

Kelsen, H. (2003) *Principles of international law*. Clark, New Jersey .The lawbook exchange, ltd. (Original work published 1952)

Бьюкенен, А. (2001) *Сецессия – Право на отделение, права человека и территориальная целостность государства*. Россия. Открытое общество Фонд Сороса.

Banac, I. (1988) *The national question in Yugoslavia: origins, history, politics*. Ithaca and London. Cornell University Press.

ხუბუა, გ. (2000) *ფედერალიზმი როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი*. თბილისი. ინტელექტი.

გაჩეჩილაძე, რ. (2012) *ჩემი XX საუკუნე*. თბილისი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

ლორთქიფანიძე, მ. (1990) *აფხაზები და აფხაზეთი*. თბილისი. განათლება.

აბაშიძე, ზ. (2000) *ნატო და საქართველო: უტოპიიდან რეალობისკენ*. თბილისი. ცოდნა.

აბაშიძე, ზ. (2012) *დანგრეული კედლის ჩრდილში*. თბილისი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

ძამაშვილი, ბ. (2015) *სამხედრო კონფლიქტების სამართალი*. თბილისი. დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა.

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი. (2006) *როგორ დაეცა სოხუმი*. თბილისი. დოკუმენტური ფილმების რედაქცია.

Ilarionov, A (2008 year 2 October) *Russia prepared war with Georgia and It was started by Russia*. Retrieved from <http://digitalcaucasus.blogspot.com/2008/10/andrei-ilarionov-russia-prepared-war.html>

Lenta.ru (2008 year 23 February) *Путин назвал провозглашение независимости Косово “страшным прецедентом”*. Retrieved from <https://lenta.ru/news/2008/02/23/putin/>